



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge



ქ. მცხეთა

12-03-2020

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 66/20

„საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-2019) შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2020 წლის 6 მარტის N62/20 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის და 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-2019) შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2020 წლის 6 მარტის N62/20 ბრძანებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-2109) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით, სამსახურში არ გამოცხადდეს ის თანამშრომელი:

ა) რომელიც ბრძანების ძალაში შესვლამდე ბოლო 14 დღის განმავლობაში იმყოფებოდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იდენტიფიცირებული ახალი კორონა ვირუსის მაღალი გავრცელების ქვეყანაში - საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;

ბ) რომელიც ბრძანების ძალაში შესვლის შემდეგ დაბრუნდება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქვეყნიდან - საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;

გ) რომლის ოჯახის წევრ(ებ)ი იმყოფებოდნენ ან/და გაემგზავრებიან მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იდენტიფიცირებული ახალი კორონა ვირუსის მაღალი გავრცელების ქვეყნებში ან/და მას ან მისი ოჯახის წევრებს კონტაქტი ქონდათ ან/და ექნება(თ) ამავე ქვეყნებიდან ჩამოსულ სხვა პირ(ებ)თან ამ პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში.

დ) კონტაქტში იმყოფებოდა იმ პირთან რომელსაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი;

ე) არის ორსული ქალი;

ვ) რომელსაც აქვს ქრონიკული დაავადება/რაიმე სახის იმუნოდეფიციტი.“

ბ) ბრძანების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე შეიზღუდოს საჯარო ღონისძიებების ორგანიზება გარეშე პირთა მონაწილეობით.“.

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).

საფუძველი:

თავმჯდომარე



მინდია დავითაძე

ეგზავნება: საქპატენტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

